



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №15/44

2017 წლის 29 ივნისი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერების შესაბამისად ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 04.02.12.751, 04.02.12.752, 04.02.12.753, 04.02.12.754, 04.02.12.755, 04.02.12.756, 04.02.12.757, 04.02.12.758, 04.02.12.759, 04.02.12.760 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (თითოეულის ფართობი 50.00 კვ.მ.) და 04.02.12.745 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 314586.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი (მერის მოვალეობის შემსრულებელი) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ასევე, სსიპ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2017 წლის 13 აპრილის #2-11/3693 წერილში აღნიშნულია, რომ მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით გადაცემა და მასზე მსუბუქი კონსტრუქციის ბუნგალოების განთავსება არ გამოიწვევს უარყოფითი მორფოდინამიკური პროცესების განვითარებას სანაპირო ზოლში, ხოლო სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 01 მაისის #21/4532 წერილში აღნიშნულია, რომ სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში (იგულისხმება პლაჟის მორფოდინამიკური რეჟიმის მდგრადობა) არ არის წინააღმდეგი მოხდეს ბუნგალოების განლაგება მალთაყვის სანაპიროზე.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადასცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 04.02.12.751, 04.02.12.752, 04.02.12.753, 04.02.12.754, 04.02.12.755, 04.02.12.756, 04.02.12.757, 04.02.12.758, 04.02.12.759, 04.02.12.760 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (თითოეულის ფართობი 50.00 კვ.მ.).

მუხლი 2.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადასცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 04.02.12.745 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 314586.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (04.02.12.745 საკადასტრო კოდის სხვა საკადასტრო კოდთან გაერთიანების ან/და დაყოფის შემთხვევაში იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობა ვრცელდება ასევე გაერთიანების ან/და დაყოფის შედეგად მიღებულ ახალ საკადასტრო კოდზე/კოდებზე) შემადგენელი ნაწილი/ნაწილები, რომელთა ფართობი/ფართობები (მათ შორის მდებარეობა და კონფიგურაცია) განისაზღვრება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

მუხლი 3.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია 2017 წლის 29 ივნისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია